პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 29 ივნისი 1978 წ. № 152 (17196) ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ყველაზე თავგადადებულ მეცხრეულეებისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოს და ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადაეცეს საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ხამნაშვილს ნადეჟდა რაქელინის ასულს — საქართველოს სსრ გორის რაიონის შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 27 ივნისი.

28 ივნისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო მასწავლებელთა საკავშირო ყრილობამ. ხურათზე: ყრილობის გახსნის დროს.

ვ. ბუბენოვის და ა. ივანოვის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად მოგეხალმებიან თქვენ, მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს, ჩვენი ქვეყნის განათლების ყველა მუშაკს — ჩვენი სახალხო ინტელიგენციის სახელოვან რაზმს.

საბჭოთა სახალხო განათლება სოციალისტურმა საზოგადოებრივმა წყობილებამ შვა. ამ დარგში განუხრელად იხსომს ხორცს ვ. ი. ლენინის გენიალური წინასწარდასახულობანი ერთიანი, შრომითი, პოლიტექნიკური სკოლის შესახებ. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საბჭოთა ადამიანის ყველა თაობის აღზრდაში, რომლებიც თავდადებული ერთგულებით ემსახურებიან კომუნიზმის იდეალებს და აქტიურად მონაწილეობენ ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით გადაწყდა კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ისტორიული ამოცანა — განხორციელდა ხაყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლება, რომელიც შეეხამება სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს. სახალხო განათლების ნამდვილ აყვავებას მიაღწიეს ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაც ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო გამოვლინებაა. განვითარებული სოციალიზმის ეს უდიდესი მიღწევები დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

სკოლის ხაკითხი მუდამ ჩვენი წინსვლის ხაკითხი იყო და არის. ახლა, როცა საშუალო განათლება ხაყოველთაო და სავალდებულო გახდა, კიდევ უფრო ამაღლდა მასწავლებლის როლი მოზარდ თაობათა კომუნისტურ აღზრდაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეებით აღზრდილი საბჭოთა მასწავლებლობა თავდადებით შრომობს განათლების კეთილშობილურ ხარბიელზე. პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ მასწავლებლების დაუცხრომელ, ნაყოფიერ მოღვაწეობას და უდიდეს მადლობას მოახსენებენ მათ თავდადებული შრომისათვის.

მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოება ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ახალ ჰორიზონტებს სახავს. ახალ მოთხოვნებს უყენებს სახალხო განათლებას. თანამედროვე ეტაპზე სკოლის მთავარი ამოცანაა თანამიმდევრულად ახორციელებდეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს სახალხო განათლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის, ცხოვრებისა და შრომისათვის მათი მომზადების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების შესახებ.

სკოლა ძირითადი რგოლია, რომელიც უზრუნველყოფს ბიოლოგიური ყოველმხრივ განვითარებას. იგი უყალიბებს ქალიშვილებსა და ჰაბუკებს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, უარყევ იდეურ მრწამსს; უნერგავს მათ მაღალ ზნეობას, შრომისმოყვარეობას, საბჭოთა პატრიოტიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეურიგებლობას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს სრული შესაძლებლობა ეძლევათ. სწავლის პერიოდში ღრმად და მტკიცედ დაეუფლონ მეცნიერების საფუძვლებს, ისწავლონ მისი პრაქტიკული გამოყენება, რათა აქტიურად ჩაებან შრომითს საქმიანობაში და უწინარეს ყოვლისა მატერიალური წარმოების სფეროში. ხაქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი შრომა ახალგაზრდის ხაარსებო მოთხოვნილება, მისი ხულიერი ჩამოყალიბების საფუძველი გახდეს.

ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანების წარმატებით განხორციელებაში გადამწყვეტი როლი განეკუთვნება მასწავლებელს, პედაგოგთა კოლექტივს. თანამედროვე პირობებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის განხორციელებას, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი, ეხოეტიკური აღზრდისა და ფიზიკური განვითარებისადმი კომპლექსურ მიდგომას. საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სკოლის კავშირის განმტკიცებას. ხაჭიროა ხრულვყოთ სახსწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდები, შევაიარაღოთ მოსწავლეები ცოდნის დამოუკიდებლად დაუფლების ჩვევებით.

საბჭოთა მასწავლებელი აქტიური შემოქმედებითი ძალაა. იგი ბავშვებსა და ახალგაზრდობას მაღალი კომუნისტური იდეურობისა და ზნეობის, ხაქმისადმი ერთგული დამოკიდებულების მაგალითს უჩვენებს. მასწავლებელი დღენიადაგ უნდა ეხმარებოდეს კომკავშირულ, პიონერულ და მოსწავლეთა სხვა ორგანიზაციებს მუშაობაში იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბონ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, განუვითარონ დამოუკიდებლობა და ინიციატივა, სწავლასა და შრომაში მოვალეობანი და პასუხისმგებლობის გრძნობა.

ცხოვრებისათვის მოზარდი თაობის მომზადება ხაერთო-სახალხო ხაქმეა. მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ოჯახსა და ხაზოგადოებრიობას. არც ერთი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია, არც ერთი შრომითი კოლექტივი არ უნდა დარჩეს განზე ხახკოლო ხაქმეებისგან, რადგან ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდისათვის ზრუნვა — ეს ჩვენი ხაყვარელი ხამშობლოს ხვალინდელ დღეზე ზრუნვაა!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო საბჭოთა მასწავლებლებს უხურვებენ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ განათლების მუშაკები კვლავაც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ საპატიო მოვალეობას პარტიისა და ხალხის წინაშე, შთაგონებული შრომით ემსახურებიან ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის აღზრდის დიად საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა სკოლის დიდი ამოცანები

გაიხსნა მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა

ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი დღე ისეთი იქნება, როგორსაც მას გახდიან ისინი, ვინც დღეს სკოლის მერხებს უზის. აი რატომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთი საერთო-სახალხო პატივისცემითაა გარემოსილი მასწავლებელი — ადამიანი, რომელიც თავის შრომასა და შთაგონებას უძღვნის ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის აღზრდის დიად საქმეს.

სახალხო განათლების ხასტუმის დახვეწისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვით შთაგონებული საბჭოთა მასწავლებლები შეიკრიბნენ მოსკოვში თავის სრულიად საკავშირო ყრილობაზე. ყრილობა ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა 28 ივნისს კრემლის ყრილობათა სასახლეში. საბჭოთა პედაგოგების ოთხმილიონიანი რაზმის წარმომადგენელია ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, შტატისა და ოლქის თითქმის ოთხი ათასი დელეგატი.

მასწავლებლებთან ერთად ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მომძე სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

შეკრებილთა ყურადღების ცენტრშია სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდის, შემდგომი სრულყოფისა და შრომისათვის მათი მომზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, თ. დ. კულაკოვს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს, კ. ვ. რუსაკოვს.

ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს

(დასასრული მე-2 გვ.).

ხუთწლედის მტკიცე ნაბიჯი

საქართველოს სსრ და მისი დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 28 ივნისს გაანაღდეს რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების იანვარ-ივნისის გეგმა.

განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს: ქალაქ თბილისის „საქნავთობის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“, „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებების, აბრეშუმის, შამპანური ღვინოების, „თბილისღვინოს“, სპირტისა და ლიქიორარყის ნაწარმის სამრეწველო-საწარმოო გაერთიანებების, საშენ მასალათა, კერამიკული, კონიაკის კომბინატების, საინსტრუმენტო და ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნების. კამოლ-სართავი, ტრიკოტაჟის №1 და № 3, ჩაის საწონი ფაბრიკების, სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვრის“ კოლექტივებმა; ქალაქ ქუთაისის საავტომობილო, ტექნიკური რეზინის ნაწარმის, ლითოფონის ქარხნების, საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „ველათის“ კოლექტივებმა; ქალაქ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქალაქ სოხუმის ტყავის ფეხსაცმლის კომბინატის, სოხუმის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის, ქალაქ ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნების, საწარმოო სამკერვალო გაერთიანების კოლექტივებმა; ქალაქ ცხინვალის „ემალსადენის“ ქარხნის, ქალაქ ჭიათურის სამთამადნო კომბინატის, ქალაქ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ქალაქ ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის, ქალაქ მარნეულის „საქარამადნეულის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა.

თბილისის ხტალინტალური ხამმართველო იუწყება, რომ ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 28 ივნისს გაანაღდეს რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ხამრეწველო პროდუქციის წარმოების იანვარ-ივნისის გეგმა.

(ხაინფორმი).

ემზადებიან შეპირაპირებისათვის

ფრენის მართვის ცენტრი, 28 ივნისი. (ხაინფორმი). მოსკოვის დროით 16 საათისათვის „სოიუზ-30“ კოსმოსურმა ხომალდმა მეთოთხმეტედ შემოუარა დედამიწას. მოწყობილი კორექციის შემდეგ ხომალდის ორბიტის პარამეტრები:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან 310 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 264 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 90 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

რადიოკავშირის სეანსების დროს კოსმონავტები პეტრე კლიმუკი და მიროსლავ გერმაშევსკი იუწყებიან, რომ პროგრამის შესაბამისად ასრულებენ ოპერაციებს, რათა „სოიუზ-30“ ხომალდი მოამზადონ „სალუტ-6“ ხადგურთან დაახლოებისათვის.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟი ასევე ემზადება „სოიუზ-30“ ხომალდთან შეპირაპირებისათვის.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ ორბიტული კომპლექსისა და „სოიუზ-30“ კოსმოსური ხომალდის ფრენა ზუსტად დაგეგმილი პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს.

ამხანაგები კოვალიონოკი, ივანჩენკოვი, კლიმუკი და გერმაშევსკი თავს კარგად გრძნობენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მოსწავლეთა სწავლებასა და კომუნისტურ აღზრდაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1978 წლის 27 ივნისის გრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა დიდი ჯგუფი.

სოციალისტური შრომის გმირობა მიენიჭა და ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადაეცა 46 ყველაზე თავგამოჩენილ მასწავლებელს.

ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 134 კაცი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით — 231, შრომის წითელი დროშის ორდენით — 1.508, „ხალხთა ნიშნის“ ორდენით — 3.991, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 1.917 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 2.202 კაცი.

ვიზიტი დამთავრდა

28 ივნისს მოსკოვიდან გაემგზავრა პერუს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა პერუს რესპუბლიკის სგარიო საქმეთა მინისტრი ხოსე ფე ლა პუენტა. დელეგაცია ხანმოკლე მეგობრულ ვიზიტად იყო ჩამოსული საბჭოთა კავშირის დედაქალაქში.

დედას, მშრომელ ქალს — სახელმწიფოებრივი ზრუნვა

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია

მეთავრდება მეათე ხუთწლედის პირველი ნახევარი. მისი წინასწარი შედეგები მოწმობს, რომ გადაიდგა ახალი, დიდი ნაბიჯი პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე. მაგრამ წინ ახალი დიდი ამოცანები, ახალი მიჯნები მოგველის. საქართველოს, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, მშრომელებმა მოქმედების პროგრამად აიღეს დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის დროს, გმირ ქალაქ მინსკისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში. საქართველოს ყველა მშრომელი მხურვალედ გამოეხმაურა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებს „მცირე მიწასა“, და „აღორძინებას“, რომლებიც ეხოვრებასა და შრომას გვასწავლის.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, იმ დიდ და დაძაბულ მუშაობას, რომელსაც ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ამჟამად ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციებში სულ უფრო ფართო გაქანებას იძენს სოციალისტური შეჯიბრება მესამე წლის დავალებისა და მოლიანად ხუთწლეულის წარმატებით შესრულებისათვის.

ქვეყნის საერთო წარმატებებში თავისი წვლილი შეაქეს საბჭოთა საქართველოსაც. მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე, 28 ივნისისათვის შეასრულეს რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ხამრეწველო პროდუქციის წარმოების იანვარ-ივნისის გეგმა. თავდადებული შრომა, მაღალი ორგანიზებულობა დაუპირისპირეს ამინდის ჭირვეულობას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ვითარდება საბჭოთა საქართველოს კულტურა და მეცნიერება.

მეათე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში დიდი როლი ეკისრებათ საბჭოთა ქალებს. ისინი ნაყოფიერად შრომობენ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში, აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა 35,5 პროცენტს ქალები შეადგენენ.

საბჭოთა ქალების ფართო უფლებები და თავისუფლებები, მათი თვალსაჩინო როლი საზოგადოების ცხოვრებაში დამკვიდრებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით, რომელიც ქალებს ანიჭებს მამაკაცის თანაბარ უფლებებს, ითვალისწინებს მოუშავე ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელიც ხელმძღვანელობს სკკპ XXV ყრილობის მითითებებით, რომ საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს ქალთა როლი კომუნისტურ მშენებლობაში, გაუმჯობესდეს მათი შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, ღედათა და ბავშვთა დაცვის პირობები, და ითვალისწინებს ახალ ამოცანებს, გადაწყვიტა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის განსახილველად შეეტანა საკითხი ამ დარგში სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ და მოსახლეობას სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე. ეს გამონათქვამები ქვეყნდებოდა პრესაში. საკითხს სწავლობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, ღედათა და ბავშვთა დაცვის საკითხების მუდმივი კომისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის ღღის წესრიგი ნათლად მოწმობს, თუ რა თანამიმდევრულად ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები. სესიისათვის დამახასიათებელი იყო ისიც, რომ იგი ზრნელია საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღების — რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ დიდი მოვლენის შემდეგ.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღებით აღფრთოვანებულმა რესპუბლიკის მშრომელებმა იკისრეს ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რესპუბლიკის ყველა კუთხიდან საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში პარლამენტის მორიგ სესიაზე დეპუტატები შეეკრიბნენ მისწრაფებით, რომ უკეთ იმუშაონ, უფრო თავდადებით იბრძოლონ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

28 ივნისს, დილის ათ საათზე, მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიამ.

თავმჯდომარის მაგიდას უსახლეთიდან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილე — დეპუტატები ზ. ო. ვახაძე, თ. შ. კობულოვა, ო. ნ. კარაბა.

პრეზიდიუმში არიან ამბრძანებენ: ვ. გ. გელაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჭ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. ოთხაშვილი, ე. კ. ფარტავა, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ლეკტორატა ი. ბ. აბაშიძემ. მან წინადადება შემოიტანა ფიზრი ადგომით ხეცენ პატივი ხაქართველოს სსრ სახალხო დეპუტატის ლ. ვ. გელაშვილის ხსოვნას.

მტკიცდება სესიის მუშაობის ღღის წესრიგი. მასში შეტანილია შემდეგი ხაკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, ღედათა და ბავშვთა დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

მტკიცდება სესიის მუშაობის რეგლამენტი.

დეპუტატები იწყებენ ღღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დეპუტატმა პ. გ. გოლაშვილმა.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი. კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ა. ჯაკიშვილი, დეპუტატები თ. შ. იმედაძე (ბუკისციხის საარჩევნო ოლქი, ჩოხატაურის რაიონი), ზ. დ. ხაგბა (ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი, ქ. სოხუმი), ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. შ. დათიაშვილი, დეპუტატი ნ. ა. ცეცხლაძე (ხულოს საარჩევნო ოლქი, ხულოს რაიონი), საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ი. გ. ხაზარაძე, დეპუტატები ლ. ე. ფრიადევა (წინაგარის საარჩევნო ოლქი, ლენინგორის რაიონი), კ. ნ. შავიშვილი (ოჩამჩირის მეორე საარჩევნო ოლქი, ოჩამჩირის რაიონი), ნ. გ. არმაგანოვა (წურეულის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი).

ამ სესიაზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, ღედათა და ბავშვთა დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანათა საკითხის განხილვა, აღნიშნეს დეპუტატებმა, ნათლად მოწმობს, თუ რა დაუცხრომლად ზრუნავენ პარტია და მთავრობა ქალისადმი, მისი, როგორც შრომითი პროცესის მონაწილის, ღედისა და აღმზრდელის, ფიზიკურისა და ფსიქიკურ ბედნიერებისა და ბედნიერებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით გადაწყდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის სოციალური ამოცანა — საქმით უზრუნველყოფილია ქალთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობა. შრომის უფლება ჩვენი ხალხის დიადი მონაპოვარია. ორატორები შეეხნენ ამ ამოცანებს, რომლებიც საბჭოებმა უნდა გადაწყვიტონ აქტიური შრომის საქმიანობაში ქალთა ჩაბმისათვის. მათ თქვეს, რომ საბჭოები უფრო ენერგიტულად უნდა სწავლობდნენ და წყვეტდნენ წარმატებული მუშაობისათვის ქალთა საჭირო პირობების შექმნის საკითხებს, უფრო ზუსტ კონტროლს უწევდნენ ქალის შრომის კანონმდებლობის შესრულებას, სამუშაო დროის მიხედვით — საწარმოებსა, სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ქალებისათვის კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა შეღავათის განხორციელებას, იღებდნენ ზომებს კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის შემდგომი ამაღლებისათვის.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ყველაფერი როდია გაკეთებული, არსებითი ნაკლოვანებებია საყოფაცხო-

(დასასრული მე-2 გვ.).

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის სხდომა.

ჯ. ბენსაშვილის ფოტო.

„სოიუზ-30“ კოსმოსური ხომალდის საერთაშორისო ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი პეტრე ილიას ძე კლიმუკი (მარცხნივ) და კოსმონავტი მკვლევარი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე მიროსლავ გერმაშევსკი.

საბჭოს-საქინფორმის ტელეფოტო.

„სოიუზ-30“ ხომალდის მეთაურის სტარტისწინა განცხადება

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

მე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეს, დამდეს დიდი პატივი — შეგასრულო კოსმოსური ფრენა „სოიუზ-30“ საბჭოთა ხომალდით და „სალუტ-6“ ორბიტული სადგურით. ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ ჩემი ქვეყანა სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს პოლოტარებულ ფრენაში „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად. ახლა, ამ სტარტისწინა წუთებში, ერთხელ კიდევ მინდა დიდი მადლობა მოვახსენო პოლონეთის გალიონებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას მაღალი ნდობისათვის.

მოგახსენებთ: „სოიუზ-30“ კოსმოსური ხომალდით საერთაშორისო ეკიპაჟის შემადგენლობაში ფრენისათვის მზად ვარ, გაწეულ მაღალ ნდობას გავამართლებ.

„სოიუზ-30“ ხომალდის მკვლევარი კოსმონავტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე **გერმაშევსკი.**

„სოიუზ-30“ ხომალდის მკვლევარი კოსმონავტის სტარტისწინა განცხადება

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ვარ, სავაჭრო და სამეფიანონო მომსახურეობაში. აღგილები აკლიათ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებს, რის გამოც ბევრი დედა მუშაობის შესაძლებლობას მოკლებულია. საჭიროა, თქვეს დეპუტატებმა, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები შეესაბამებოდეს ადამიანის ბედნიერებისა და ჯანმრთელობის ინტერესებს.

ამით მთავრდება სესიის დღის სხდომა.

16 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის საღამოს სხდომა. იგი მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბ. აბაშიძის თავმჯდომარეობით.

დეპუტატებმა განიხილავდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. გილაშვილის მოხსენებას დღის წესრიგის პირველ საკითხზე.

კამათში მონაწილეობდნენ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი მ. გ. ბარათაშვილი, დეპუტატები ვ. ა. სობოლევი (ზაუმიანის საარჩევნო ოლქი, მარნეულის რაიონი), ც. კ. თოდიძე (საზანოს საარჩევნო ოლქი, ფირჯოლის რაიონი), მ. ლ. მდივანი (დიდი ლილოს საარჩევნო ოლქი, გარდაბნის რაიონი), საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ვ. ნ. ჭილაშვილი, დეპუტატი კ. კ. გარდაფხაძე (ცხინვალის საარჩევნო ოლქი, ქედის რაიონი), ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. კუტალია, დეპუტატები ლ. გ. ჩუხრაი (ვარკეთილის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ც. ი. ხარაიშვილი (ბაღლუბნის საარჩევნო ოლქი, ლაგოდეხის რაიონი), გ. ი. შარიქაძე (მშვიდობის საარჩევნო ოლქი, ქ. გორი). მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის შემდგომ ამაღლებას, რადგან იგი სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებისა და გაფართოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნიათ. მაგრამ ეს ყველა ხელმძღვანელს როდი აქვს შეგნებული. სესიაზე ამბილეს მუშა ქალთა შრომისა და ყოფის ორგანიზაციის არსებითი ნაკლოვანებანი, შეეტანეს კონკრეტული წინადადებანი არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

შემოვიდა წინადადება შეწყდეს კამათი დღის წესრიგის პირველ საკითხზე. წინადადება მიიღეს.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გ. გილაშვილმა.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები კომუნისტური მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლების, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების დროულ — [illegible] — ქალთა და ბავშვთა დაცვის საქმეში XXV ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად“.

მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილება.

სესიის მუშაობის დღის წესრიგი ამოწურულია. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია დახურულად გამოცხადდა. (საქინფორმი).

დღეს, მშრომელ ქალს — სახელმწიფოებრივი ზრუნვა

(დასასრული)

ბავშვებისა და სამეფიანონო მომსახურეობაში. აღგილები აკლიათ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებს, რის გამოც ბევრი დედა მუშაობის შესაძლებლობას მოკლებულია. საჭიროა, თქვეს დეპუტატებმა, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები შეესაბამებოდეს ადამიანის ბედნიერებისა და ჯანმრთელობის ინტერესებს.

ამით მთავრდება სესიის დღის სხდომა.

16 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის საღამოს სხდომა. იგი მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბ. აბაშიძის თავმჯდომარეობით.

დეპუტატებმა განიხილავდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. გილაშვილის მოხსენებას დღის წესრიგის პირველ საკითხზე.

კამათში მონაწილეობდნენ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი მ. გ. ბარათაშვილი, დეპუტატები ვ. ა. სობოლევი (ზაუმიანის საარჩევნო ოლქი, მარნეულის რაიონი), ც. კ. თოდიძე (საზანოს საარჩევნო ოლქი, ფირჯოლის რაიონი), მ. ლ. მდივანი (დიდი ლილოს საარჩევნო ოლქი, გარდაბნის რაიონი), საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ვ. ნ. ჭილაშვილი, დეპუტატი კ. კ. გარდაფხაძე (ცხინვალის საარჩევნო ოლქი, ქედის რაიონი), ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. კუტალია, დეპუტატები ლ. გ. ჩუხრაი (ვარკეთილის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ც. ი. ხარაიშვილი (ბაღლუბნის საარჩევნო ოლქი, ლაგოდეხის რაიონი), გ. ი. შარიქაძე (მშვიდობის საარჩევნო ოლქი, ქ. გორი). მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის შემდგომ ამაღლებას, რადგან იგი სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებისა და გაფართოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნიათ. მაგრამ ეს ყველა ხელმძღვანელს როდი აქვს შეგნებული. სესიაზე ამბილეს მუშა ქალთა შრომისა და ყოფის ორგანიზაციის არსებითი ნაკლოვანებანი, შეეტანეს კონკრეტული წინადადებანი არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

შემოვიდა წინადადება შეწყდეს კამათი დღის წესრიგის პირველ საკითხზე. წინადადება მიიღეს.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გ. გილაშვილმა.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები კომუნისტური მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლების, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების დროულ — [illegible] — ქალთა და ბავშვთა დაცვის საქმეში XXV ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად“.

მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილება.

სესიის მუშაობის დღის წესრიგი ამოწურულია. საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია დახურულად გამოცხადდა. (საქინფორმი).

საბჭოთა სკოლის დიდი ამოცანები

(დასასრული)

წელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ა. სუსლოვს. ხანგრძლივი ტაშის გრიალში მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობისადმი.

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გაცნობოთო, თქვა მ. ა. სუსლოვმა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 27 ივნისის ბრძანებულებით მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება და ლენინის ორდენი და ოქროს medaliით „ნამგალი და უროო“ გადაეცეს სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ორმოცდაექვს მასწავლებელს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტურ აღზრდაში მიღწეული წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების 10 ათასი მასწავლებელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მ. ა. სუსლოვმა მზრუნველი და გულთბილად მეფოლოვა და მიესალმა ამხანაგებს. რომლებსაც მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, აღრთვე რომლებიც დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. უსურვა მათ ახალი წარმატებანი იმ კეთილშობილური შრომაში, რომელსაც ასეთი ეწევიან მაღალი კომუნისტური მორალის. შრომასმოყვარეობის. სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის განათლების მინისტრმა **მ. ა. პროკოფიევმა.** ყრილობის სახელით მან უდიდესი მადლობა ოქროვნ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა პედაგოგების შრომის მაღალი შეფასებისათვის, აღუთქვა მათ, რომ მასწავლებლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალ-ღონე და ცოდნა, თავიანთი გამოცდილება მოაბმარონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ახალგაზრდა „ცვლის“ სწავლებასა და აღზრდას.

მასწავლებლთა წინა სრულიად საკავშირო ყრილობიდან განვლილ ათ წელიწადში. თქვა შემდეგ მომხსენებელმა, მიღებულია პარტიისა და სახელმწიფოს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებსაც ჩვენთვის საპრიორიტეტო მნიშვნელობა აქვთ. საბჭოთა განათლების ისტორიაში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ პირველად დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები სახალხო განათლების შესახებ. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით მიღებულია პარტიისა და მთავრობის დადგენილება: „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ლენინიდ ილიას ძის სიტყვებსა და სტატიებში პირველადაა წამოყენებული საყოველთაო საშუალო განათლების პრინციპი, რომელიც ახლა სსრ კავშირის კონსტიტუციითაა დამკვიდრებული სახალხო განათლების მოოლეწოებისათვის, ვასწავლებლებისადმი, კომკავშირისათვის, პიონერებისადმი, მოსწავლეებისადმი მისალმებებში, მიმართვებში, რეალიფურადაა გამოხატული განათლების დაწესებულებათა პრაქტიკული მუშაობის საარსებო საკითხები.

სსრ კავშირში არსებობს და იხვეწება სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკურ, სპეციალურ (საშუალო და უმაღლეს) მომზადებას, ემსახურება საბჭოთა ადამიანების კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და არის ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ დაძლეულ იქნეს არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას, ქალაქსა და სოფელს შორის.

ჩვენს ქვეყანაში დამთავრდა გადასვლა ახალგაზრდა თაობათა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებაზე, რაც პარტიისა და საბჭოთა ხალხის, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უდიდესი მიღწევაა. უზრუნველყოფილია პირობები, რომ სოფლის ახალგაზრდობამ, ისევე როგორც ქალაქისამ, დროზე მიიღოს სრული საშუალო განათლება. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სოფლად გაიხსნა ცხრა ათასი საშუალო სკოლა, ამენდა სკოლები ცხრა მილიონი მოსწავლისათვის.

მიღწეულის განმტკიცება შეიძლება მხოლოდ მასწავლებელთა პედაგოგიური ხელოვნების განუწყვეტელი დახვეწის შედეგად. ჩვენს სკოლებში შრომობს მრავალი ათასი მასწავლებელი — ფრთო ერუდიციის ადამიანები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ თავიანთი პროფესია, თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატები. დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობას „შემოქმედებითად მომუშავე მასწავლებლებიდან — შემოქმედებითად მომუშავე კოლექტივისაკენ“, რომელიც მოსკოვის ოლქში ჩაისახა და შემდეგ ფართოდ გავრცელდა.

როცა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების პრობლემას ვიხილავთ, განაგრძო მომხსენებელმა, უნდა გვახსოვდეს, რომ საწარმოებში კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში ჯერ კიდევ შრომობს ბევრი შედარებით ახალგაზრდა ადამიანი, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვერ შეძლეს ანუგეშოთ განათლება. განვლილი 10 წლის მანძილზე 7 მილიონზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო სრული საშუალო განათლება მომუშავე ახალგაზრდობიც საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში. ამ სკოლებში ახლა 5 მილიონამდე კაცი სწავლობს. მაგრამ კონტინგენტები სრულიადაც არ ამოწურულა. გაიმალა ფართო მოძრაობა „თითოეულ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“, სულ უფრო მეტ საწარმოს შეაქვს სოციალური განვითარების გეგმებსა და სოციალისტური შეჯიბრების პირობებში მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების მაჩვენებელი. ბევრმა საწარმომ და მეურნეობამ ვალდებულება იკისრა 1979 წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში ჩაბას ყველა ახალგაზრდა მუშა, რომლებსაც არა აქვთ საშუალო განათლება.

მომუშავე ახალგაზრდობის განათლების დონის ზრდა ნაყოფიერ გვიანდას ახდენს კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ბოლოსდაბოლოს შრომის ნაყოფიერებაზე. ამ მხრივ საგულისხმოა ვოლგის საავტომობილო ქარხანა, რომლის კოლექტივი უპირატესად ახალგაზრდულია. ამ კოლექტივის ყოველი 100 მუშაკიდან 80-ს უმაღლესი, საშუალო სპეციალური და სრული ზოგადი საშუალო განათლება აქვს. 6600 კაცი ახლა სწავლობს. გაზეთიდან არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ვოლგის საავტომობილო ქარხნის წარმატებებში მასწავლებელთა შრომასაც მიეძღვის წელი. და ასეთი მაგალითი უამრავია.

დღეს ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად მივუახლოოთ დაუსწრებელი და საღამოს სკოლები საწარმოებს, მეცნიერების საფუძველთა შესწავლა შევუხამოთ კვალიფიკაციის ამაღლებას, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, და მაშასადამე, კურსდამთავრებულთა ცოდნის ხარისხიც.

დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებს. ეს სისტემები, განსაკუთრებით უკანასკნელი, მძლავრად ვითარდება. ისინი საშუალო განათლების უფროსი საფეხურის დიფერენციაციის საშუალებას გვაძლევს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდობის ფორმირებაში.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები კარგად გაისარჯნენ, რომ დაეხვეწათ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაცია და შინაარსი. ჩვენ დადებითად ვაფასებთ იმ უდიდეს შრომას, რომელიც სრულყოფილი პროგრამების, სახელმძღვანელობის, მეთოდიკური წიგნების, სასკოლო პრაქტიკის გაუმჯობესების მოხმარდა, და მიგვიჩნია, რომ საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მთავარი ყურადღება დავუთმოთ სასწავლო პროცესის დროს საზოგადოებისა და ბუნების განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლიან გაშუქებას.

ამის საფუძველზე უკვე დაიწყო სასკოლო სასწავლო პროგრამების გადასინჯვა. მეორეხარისხოვანი და მეტისმეტად გართულებული მასალის ამოღების შედეგად დაგრჩება თავიისუფალი დრო ძირითადი მეცნიერული საფუძვლების ასათვისებლად. ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლა როგორც საბჭოთა ადამიანების მთელი თაობის აღზრდის პროგრამა, რაზეც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა კომკავშირის ყრილობაზე, სრულად უნდა იყოს გაშუქებული სკოლის სასწავლო პროცესში.

მ. ა. პროკოფიევმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის მეთოდიურ უზრუნველყოფას. მეთოდიკა პედაგოგიკის მეცნიერების ის დარგია, რომელიც უშუალოდ დებს ხიდს თეორიასა და პრაქტიკას შორის.

სკოლაში მიღებული ცოდნა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მკვიდრი საფუძველი უნდა გახდეს. ყოველ მოსწავლეს, რომელიც სკოლას ამთავრებს, შრომითს ოჯახში შესვლისას სრულად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის საფუძვლები უნდა ჰქონდეს.

ბევრ სკოლაში გააზრებულად არის დაყენებული ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლა. ლენინის ზოგიერთი შრომა შეტანილია პროგრამაში. შეძენილი გამოცდილების გავრცელებასა და მის განზოგადებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას „საშუალო სკოლაში ვ. ი. ლენინის ცხოვრების, მოღვაწეობის, ნაწარმოებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტების შესწავლა“, რომელსაც სპეციალური წერილით მიმართა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა და სკოლის ეს მუშაობა შეაფასა როგორც იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საფუძველი, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მძლავრი საშუალება.

მოსწავლეს უნდა ესმოდეს ჩვენს ქვეყნის წინაშე მდგომი ძირითადი პრობლემები, შეეძლოს თავისი როლისა და პასუხისმგებლობის გაგრძელება მათს რეალიზაციაში ახლა, როცა იგი სკოლაში სწავლობს, და ხვალ, როცა საშუალოდ სახალხო მეურნეობაში წავა. მასწავლებელთა რესპუბლიკური ყრილობებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსული ენის, როგორც სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენის სწავლების გაუმჯობესებას. მისი შესწავლისადმი მისწრაფება ძალიან დიდია, სკოლის მართვის ორგანოებმა, მეთოდიკურმა სამსახურმა, მეცნიერებმა უნდა განაზორციელონ შეძენილი დადებითი გამოცდილების განზოგადების ღონისძიებანი, ხელი შეუწყონ სრულყოფილი სახელმძღვანელოების, დიდაქტიკური მასალების შექმნას, მეტი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

სკოლის იდეურ-აღმზრდელობითი ფუნქციის ამაღლებას მრავალმხრივი ხასიათი აქვს. მთელი მისი საქმიანობის მიზანი მხოლოდ ეს არის. სიტყვისა და საქმის ერთიანობას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი, ანტისოციალისტური მოგლენებისადმი შეურიგებლობას, სამშობლოსა და პარტიისადმი თავდადებულ ერთგულებას საძირკველს უნდა უყრიდეს სასკოლო ცხოვრების მთელი წყობა. ის ამოცანა, რომ დადავაქციოთ ცოდნა მორალური სრულყოფის იარაღად, ერთმანეთს შეეუღწყოთ ცოდნა და ზნეობა, დაუშვებელია, ისინი ადამიანის ჰარმონიული განვითარების მიზნებს, — საბჭოთა სკოლის ერთ-ერთი ძნელი, მაგრამ მთავარი ამოცანაა.

სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს მოსწავლეთა შრომიოს სწავლებასა და აღზრდაში, რომლებიც ჯერჯერობით არ შეესაბამება საზოგადოებრივი წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაზრდილ მოთხოვნებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შრომის, შრომელ ადამიანთა სიდადის თემა ყოერდეს ყველა დისციპლინის გაკვეთილებზე, ყველა ალმზრდელობითი ღონისძიების დროს.

უნდა დაიხვეწოს შრომის გაკვეთილები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შრომითი სწავლების ორგანიზაციას უფროს კლასებში. მიზანშეწონილია ასეთი სწავლება მოეწყოს საწარმოთა სასწავლო საამქროების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების, სახელოსნოების, ახლომდებარე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საკუთრივ სასკოლო სახელოსნოების ბაზაზე, აგრეთვე მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო ბრიგადებში.

მომხსენებელმა ილაპარაკა ამ საქმეში ნაკლოვანებებზე გამოცდილებაზე და, კერძოდ, თქვა, რომ მოსკოვი პრაქტიკულად ამთავრებს შრომითი სწავლების გადაყვანას საწარმოო ბაზაზე. უფროსკლასელთა 80 პროცენტი 40 სკოლათმორის კომბინატში სწავლობს. სტრუქტურული ქვეგანაყოფები აქვს იქ დედაქალაქის 532 საწარმოს. წარმატებით მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა — ბრიგადირთა საბჭო, ორგანიზებულია სოციალისტური შეჯიბრება. ამის შედეგად შარშან სწავლების კურსგაკვლილთა თითქმის ნახევარი არჩეული პროფილით წავიდა სამუშაოდ და სასწავლებლად.

ვითარდება სასოფლო სკოლათშორისი კომბინატები, განსაკუთრებით უკრაინაში, ბელორუსიაში, უზბეკეთში, რუსეთის სფსრ მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში, იზრდება სოფლის მოსწავლეთა ჩაბმა მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო ბრიგადაში, სასკოლო სატყეოებში.

კომკავშირის სრულიად საკავშირო XVIII ყრილობაზე ბრეჟნევმა ალაღი შეფასება მისცა კოსტრომის ოლქის სოფლის სკოლების კურსდამთავრებულთა თაოსნობას. შემთხვევითი არ ყოფილა მათი გადაწყვეტილება სამუშაოდ დარჩენილიყვნენ მშობლიურ მეურნეობათა მინდერებსა და ფერმებში. აქ მტკიცე და საფუძვლიან ცოდნასთან ერთად მოსწავლეებს უნერგავენ მიწის სიყვარულს, სასოფლო-სამეურნეო შრომის პატივისცემას ასწავლიან მიწაზე მუშაობას.

შრომითი სწავლების სათანადო დაყენება მხოლოდ ქარხანასთან, კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან, საწარმოსთან კავშირით შეიძლება. ბევრი საწარმო აქტიურად ეხმარება სკოლას ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. მათი ხელმძღვანელები სამართლიანად სჯიან: დღევანდელი მოსწავლე ხვალინდელი მუშაა. ჩვენს ქვეყანაში ბევრი რაიონი, ოლქი და რესპუბლიკაა, რომლებმაც უფრადღებით განიხილეს ამ დარგის ვითარება სკოლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად და დასახეს დახმარების ღონისძიებანი იმ ვარაუდით, რომ მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის საჭირო ბაზა შეიქმნან შრომითს სწავლებას, რომელიც ყველა მოსწავლეს მოიცავს.

ზაფხულს არდადეგების დროს ერცელდება კოლმეურნეობაში, ქარხანაში მოსწავლეთა შეძლებისდაგვარი მუშაობის შეხამება ორგანიზებულ დასვენებასთან უმჯობესია ქალაქგარეთ. ამ ზაფხულს, ალბათ, 10-11 მილიონი უფროსკლასელი არდადეგების ნაწილს სწორედ ამნაირად გაატარებს, თავის საკოლო შრომითს გაერთიანებაში.

შემდეგ მ. ა. პროკოფიევი შეეხო ბავშვებთან მუშაობის კლუბგარეშე, სკოლისგარეშე ფორმების განვითარებისა და სრულყოფის პრობლემებს, ხაზი გაუსვა იმ დიდმნიშვნელოვან როლს, რომელსაც ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ასრულებენ პიონერული და მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციები. ახალ სასწავლო წელს ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში აირჩევენ მოსწავლეთა კომიტეტებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ შეკავშირებული კოლექტივების — პიონერული იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ქმედითი საშუალების შექმნას.

ჩვენს ქვეყანაში მოზარდ თაობაზე, სკოლაზე ზრუნავენ საერთო, საყოველთაო-სახალხო საქმეა. ბევრ საწარმოში აქტიურად მოქმედებს ოჯახისა და სკოლის დამხმარე კომისიები, სასრგებლო მუშაობას ეწევიან ამ მიმართულებით პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ახლა, როცა სკოლის წინაშე ახალი ამოცანები დგას, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის კავშირი განსაკუთრებით მტკიცე უნდა იყოს.

კომუნისტური პარტია უცვლელად ანიჭებს დიდ მნიშვნელობას სახალხო მასწავლეთას. გაიზარდა მისი როლი, განათლების საქმისადმი თავისი თავდადებული სამსახურით მან საყოველთაო პატივისცემა და პატივი მოიხვეჭა. განათლების სისტემასა და საშუალო განათლების მიმეცემ სხვა სასწავლებლებში მომუშავე მასწავლებელთა არმიის საერთო რიცხვი 4,5 მილიონს აღწევს.

თანამედროვე მასწავლებელი — ეს არის კარგი აღმზრდელი, პოლიტიკური მებრძოლი, პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი, თავისი საგნის ბრწყინვალე მცოდნე, რომელიც დახელოვნებულია, რომ გასაგებად აუხსნას მოსწავლეებს მეცნიერული ჭეშმარიტებანი, და საკუთარი ცხოვრებითა და შრომით კომუნიზმის მორალურ პრინციპებს ამკვიდრებს ახალგაზრდობაში.

მინისტრმა დაახასიათა ჩვენს ქვეყანაში პედაგოგიური განათლების დაყენება და აღნიშნა, რომ სპეციალისტთა მომზადების საქმეში არის მთელი რიგი გადაუწყვეტელი პრობლემები. პედაგოგიური ინსტიტუტები და უნივერსიტეტები ხშირად სუსტად ამზადებენ თავიანთ კურსდამთავრებულებს აღმზრდელობითი მუშაობისათვის. უნდა გაუმჯობესდეს პედაგოგიურ სასწავლებლების სტუდენტთა შერჩევა. სწორად იქცევიან ის სასწავლებლები, რომლებიც აქტიურობას იჩენენ პროფესიულ პედაგოგიურ ორიენტაციაში, და ქმნიან სკოლებში ეგრეთწოდებულ მომავალი მასწავლებლის ოაკულტატებს, უვითარებენ მოსწავლეებს პედაგოგიური პროფესიის სიყვარულს, აქტიურად არჩევენ თავიანთ ამბიტურიენტებს, განსაკუთრებით ჯაბეკთა შორის. უახლოეს წლებში ახალგაზრდა სპეციალისტთა უმრავლესობა სამუშაოდ გაიგზავნება სოფლებში. საჭიროა უფრო მეტად გავითვალისწინოთ ეს გარეგანი ფაქტორი სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში.

პარტიის XXV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, საბჭოთა სკოლას ახალი შესანიშნავი პერსპექტივები გადაუშალეს. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყველა პირობა შექმნეს ჩვენი ეპოქის „ღირსი, მოზარდი თაობების — იდეურად მტკიცე პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების სწავლებისა და აღზრდისათვის, რომლებიც სრულყოფილად არიან დაუფლებული მეცნიერების საფუძვლებსა და შრომით ჩვევებს და, მუდამ მზად არიან დიდი ოქტომბრის ისტორიულ მონაპოვართა დასაცავად.

მ. ა. პროკოფიევმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ საბჭოთა მასწავლებლობა მუდამ აქტიურად იმრომებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ყოველ ღონეს იხმარს ახალგაზრდა თაობათა აღზრდაში პარტიის იდეების განხორციელებისათვის, თავის წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

მოხსენების გამო გაჩაღდა კამათი.

ჩვენ საზოგადოებაში, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა, განათლებას უდიდესი როლი ეკუთვნის. სახალხო განათლება ის საძირკველია, რომელზეც დაფუძნებულია ჩვენი კულტურაც და მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის განვითარების ჩვენი შესაძლებლობებიც.

სწორედ თქვენ, მასწავლებლები, აყალიბებთ მებრძოლი, შრომელი და შემოქმედი ხალხის სახეს. პედაგოგთა ამოცანაა უზრუნველონ მოსწავლეებს საზოგადოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტივები, გამოუმუშაონ ახალგაზრდებს ამის მისწრ

საერთაშორისო ცხოვრება

ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ

● ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ

კონსტრუქციული მიდგომა

მსოფლიო პრესის გამოხმაურება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაზე

მსოფლიო პრესა კვლავ ფართო კომენტარს უკეთებს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მინსკში წარმოთქმულ სიტყვას. **კომენტარებში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირი პრინციპულად კონსტრუქციულად უდგება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებს, საბჭოეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გააღრმაოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, განამტკიცოს მშვიდობა და ხალხთა უშიშროება.**

ლონდონი, გულწრფელი ზრუნვა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, აქტუალური გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტისადმი თანამიმდევრული მიდგომა ამ ძნელ და რთულ გზაზე — ასეთია ბელორუსის დედაქალაქში ლ. ი. ბრეჟნევის სტუდიისგან მიღებული ძირითადი, უძლიერესი შთაბეჭდილება, წერს ბულგარეთის გაზეთი **„რაბოტნიჩესკო დელო“.** საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვა რწმენას გვნერგავს, რომ შესაძლებელია არა მარტო წარმატებით დავიცვათ დაძაბულობის შენელების საქმე, არამედ წინ წავწიოთ კიდეც იგი.

უნგრული გაზეთი **„ნეპსაბადსაგი“** ხაზს უსვამს: რომ ლ. ი. ბრეჟნევმა მოითხოვა ევროპაში დაძაბულობის შენელების პროცესის მუდმივი განმტკიცება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ჩვენს ეპოქაში საერთაშორისო ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა მოძმე სოციალისტური ქვეყნების მზარდი თანამშრომლობა. გაზეთი წერს, რომ სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მიერ ვენის მოლაპარაკებაზე წამოყენებული მკაფიო და ზუსტი წინადადებანი ნათლად, დამაჯერებლად მოწმობენ სოციალისტური საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმყვარეობასა და კონსტრუქციულობას. ახლა საქმე ის არის, რა პოზიციას დაადგება დასავლეთი.

ამერიკის **ენ-ბი-სის სატელევიზიო კომპანია,** რომელმაც ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური დოკუმენტი უწოდა, აღნიშნავს, რომ „თვრო სახლში სიტყვა მთელი სერიოზულობით აღიქვეს და წამყვანი სპეციალისტები საბჭოთა კავშირის დარგში შეუდგნენ მის გულდასმით და დეტალურ შესწავლას“.

ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაზრისი პოლიტიკური მოღვაწე სენატორი ჯ. მაკკოვერნი გაზეთ **„ნიუ-იორკ-ტაიმსის“** ფურცლებზე აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ემსახურება მშვიდი, დინჯი მოლაპარაკება, და არა ულტიმატუმები და ისტერიული მოწოდებანი, შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებიან შეზღუდვის შესახებ და დაძაბულობის შენელების მხარდასაჭერად საბჭოთა საგარეო-პოლიტიკური აქციების მთელი სერია.

კანადის **კანადიან პრესის საააგენტო** აღნიშნავს: „საბჭოთა ხელმძღვანელმა სერიოზულად გააფრთხილა შეერთებული შტატები არ გაითამაშოს „ჩინური კოზირი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. მან გააკრიტიკა ამერიკის განიარაღების პოლიტიკა, და აღნიშნა, რომ ნატოს წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელებს, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს, არ სურთ კონსტრუქციულად მიუდგნენ განიარაღების ამოცანების გადაწყვეტას. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა არის გაფრთხილება ამერიკის შეერთებული შტატების ის წრეებისა, რომლებსაც სურთ ხელი აიღონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე და დაადგნენ „ცივი ომის“ გზას, აღნიშნავს საააგენტო.

მინსკში წარმოთქმულ სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს ფრანგული **„ლუმანიტე“,** მოუწოდა გაააქტიურონ ბრძოლა გამძალებული შეიარაღების ალაგმვის, განიარაღების დარგში რეალური საქმისათვის.

მნიშვნელოვანსა და კონსტრუქციულ უწოდებს ინდოეთის გაზეთი **„ნეშნლ ჰერალდი“** სოციალისტური ქვეყნების წინადადებებს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ეს წინადადებანი ემსახურება ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრების საქმეს.

იაპონური გაზეთი **„ტოკიო სიმბუნი“** განმარტავს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას და აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების პრინციპულ კრიტიკას, რომელიც ახორციელებს ბეგ და საშინ პოლიტიკას და ცდილობს „ჩინური კოზირი“ გაითამაშოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკის პოლიტიკის კრიტიკასთან ერთად, აღნიშნავს გაზეთი, სიტყვაში ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოწოდება ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიალოგის, დაძაბულობის შენელების დამკვიდრებისათვის. (საკდესი)

გმოგენ კაპიტულანტურ პოლიტიკას

ბეირუთი, 27 ივნისი. (საკდესი). ისრაელმა სადათის მორიგი წინადადებანი ახლო აღმოსავლეთში „მშვიდობიანი მოწესრიგების“ პირობების შესახებ უარყო ისე, რომ არც კი დაელოდა კაიროს მიერ ამ წინადადებათა ფორმალურ წამოყენებას. ტელ-ავივი სარგებლობს სადათის კაპიტულანტური განწყობილებით და კვლავ ზეგავლენას ახდენს მასზე, დაეხებით მოითხოვს, რომ „უფლება“ მისცენ დაასახლოს დაყორობილი არაბული მიწები და შეინარჩუნოს მათდამი ადმინისტრაციული და სამხედრო კონტროლი.

დამასკო, 27 ივნისი. (საკდესი). სირიის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა ინგლისური გაზეთის „ფაინენშლ ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სადათის ეგვეთ წოდებულმა „ინიციატივამ“ „შეასუსტა მშვიდობიანი პროცესის განხორციელების საერთაშორისო შესაძლებლობანი“. ამ „ინიციატივის“ დასაბუთებისა და მიზნების ობიექტური გაანალიზების საფუძველზე, თქვა პრეზიდენტმა, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ „იგი დაბრკოლებაა მშვიდობის გზაზე, უფრო სწორად — ეს არის ნაბიჯი ომისაკენ, და არა მშვიდობისაკენ“.

ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ

ᲐᲓᲔᲜᲘ, 27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). აქ გამოაცხადეს, რომ ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲘᲗᲮᲔᲚ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ, რომელმაც წინა დღით სცადა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა, სიკვდილი მიუსაჯეს. ᲑᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲔᲚᲘᲐ ᲡᲘᲚᲘᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. სასამართლოს წარუდგა აგრეთვე მისი ორი თანამზრახველი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ შეთქმულებაში. მათაც მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲗ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ სალემ‌ᲗᲘᲐᲛ ᲗᲕᲘᲜ ᲛᲘᲝᲬᲘᲐ ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲙᲠᲘᲓᲘᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲗᲥᲕᲘᲗ, ᲘᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ

როცა დედა ჩარს-ვლაფაციაშია

ციცანეთ რაიონის სოფელ ნაჭალაქევში დიდ ყურადღებას უთმობენ მეხაიეთა ბავშვების სკოლამდელ აღზრდასა და დასვენებას. 160-ზე მეტი მოხწავლე ატარებს ზაფხულის არდადეგებს პიონერთა ბანაკ „ტეხურაში“, სადაც მათთვის სრულ ფასოვანი დასვენების ყველა პირობაა შექმნილი.

ხერაბოზე: პიონერთა ბანაკ „ტეხურაში“.

გ. კიკვაძის ფოტო. (ნაჭინფორმის ფოტოქრონიკა).

მაყურებელმა ნახა პრემიერა

1500 წლის მოთხრობა სცენაზე

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრში მაყურებელმა ნახა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობა“. პიესის იტორი და დამდგმელი რეჟისორი ნანა ხატისკაცი. მხატვრობა ეკუთვნის მ. შვილიძეს, კომპოზიტორია ი. კეჭაყმაძე.

მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. გიგოშვილი (შუშანიკი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჟ. ლოლაშვილი (ვარსქენ პიტიახში), რესპუბლიკის სახალხო არტისტი გურ. სალარაძე (მოძღვარი).

სპექტაკლი მაყურებელმა ინტერესით მიიღო. დიდხანს უკრავდნენ ტაშს გმირებს პირველი ქართული მოთხრობისაც, რომლის 1500 წლის იუბილეს შემოდგომაზე იზეიმებს მთელი საქართველო.

თეატრი ჩვენს ცხოვრებაში

ტყიბული. (ხაკ. კორ.). „თეატრი ჩვენს ცხოვრებაში“ — ამ დევიზით მეშახტეთა კულტურის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა თეატრალური კოლექტივების სანალაქო დათვალიერება. მასში ოთხმა თვითმოქმედმა კოლექტივმა მიიღო მოხსენება.

დათვალიერების მონაწილენი და მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ ცნობილ ქართველ ძველთმცოდნეს — რესპუბლიკის სახალხო არტისტებს მ. ჩანავიანა და ტ. სიყვარულიძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ზ. ლაფერაძესა და ვ. დოლიძეს, დრამატურგ ა. დვიძეს. მათ ხელოვნების მოყვარულთა გააცინეს თავიანთი შემოქმედებითი გეგმები.

დათვალიერებამ ბევრი საინტერესო სცენისმოყვარე და თეატრალური კოლექტივი გამოავლინა.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

კეთილი სურვილებით

მსოფლიოს ჩემპიონ ანატოლი კარპოვის მრავალრიცხოვანმა ქომაგებმა მოიყარეს თავი ლენინგრადის ფიზკულტურის სასლში, რათა დაელოცათ გზა ფილიპინებზე გამგზავრების წინ. მსოფლიოს ჩემპიონს მიესალმნენ სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — სოციალისტური შრომის გმირი, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჩინერი, ლენინგრადის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი მოისეენკო (სწორედ ეს ფაკულტეტი დამთავრა კარპოვმა), საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ლაგოვი, ოლიმპიური ჩემპიონები ზიბინა და ტიუკალოვი, ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატი კოჩიევი...

მსოფლიოს ჩემპიონმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, იგი კარგად არის მომზადებული მატჩისათვის (ზაფხადა ძან 20 ივნისს დაასრულა) და დამსწრეთ დიდი მადლობა გადაუხადა კეთილი სურვილებისათვის.

მატჩის სათამაშო დღეებია კვირა, სამშაბათი და ხუთშაბათი, გადადებული პარტიების დამთავრებისათვის განკუთვნილია ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი. შაბათი დასვენების დღეა.

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ტარდება ქ. ბაგიოს საკონფერენციო დარბაზში, რომელიც 2000 მაყურებელს იტევს. ეს პირველი შემთხვევაა უკანასკნელ 50 წლის მანძილზე, როდესაც ოლიმპიური ჩემპიონები ზიბინა და ტიუკალოვი, ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატი კოჩიევი...

1978 წლის ჩემპიონატის შედეგების გაანალიზება, რა თქმა უნდა, დროსა და ძალზე სერიოზულ მსჯელობას მოითხოვს. არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს მსჯელობა გაიმართება.

ხელგურთი

თასი თბილისში გათამაშდება

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალურ ოთხეულში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. თასის გათამაშების წინა ეტაპებისაგან განსხვავებით ოთხეულის მონაწილენი ნახევარფინალურ მატჩებს გამართავენ და აქ გამარჯვებულნი ფინალში შეხვდებიან. **დასკვნითი ეტაპების შეჯიბრება მოეწყობა თბილისის სპორტის სახასლეში 6 და 7 ივლისს.** ნახევარფინალში თბილისის „ბურევესტნიკი“ ეთამაშება კრასნოდარის „ბურევესტნიკს“, ხოლო კაუნასის „ვრანტასი“ — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“.

ერთი მეჯლის მიღმა

ახლახან დამთავრდა სსრ კავშირის 1978 წლის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ოთხი დღის განმავლობაში მინსკის სპორტის სასახლის ხალიჩაზე ქვეყნის უძლიერესი ფალავნები ერთმანეთს ეცილებოდნენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს...

პირდაპირ უნდა ვთქვათ, ბელორუსიის დედაქალაქში საქართველოს წარგზავნილებს ხელი მოეცარათ — მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს. მისი მფლობელი უმჩატესი წონის მოჭიდავე ნარმინ ჯაფაროვი გახდა.

რა არის მიზეზი იმ რეპუბლიკის მოჭიდავეთა ასეთი უღიმღამო გამოსვლისა, რომელმაც არა ერთი და ორი სახელოვანი ფალავანი აღზარდა?

ამ კითხვაზე საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **მარლენ ოსიეშაშვილმა** ასე გვიპასუხა:

— პირველი დიდი მარცხი საკავშირო პირველობაში ჩვენმა გუნდმა 1976 წელს იწვნია, როდესაც ორად-ორი ბრინჯაოს მედალი გვხვდა, სამწუხაროდ, ეს ფაქტი დიდი მსჯელობის საგნად არ ქცეულა და არ დასახულა მდგომარეობის გამოსასწორებლად რადიკალური გზები. და აი, წელს კიდევ უფრო უღიმღამოდ გამოვედით. ისე, კაცმა რომ თქვას, ნამდვილი კრიზისი 1971 წლიდან დაიწყო. წავიდნენ ძველი გვარდიის წარმომადგენლები, მათი შემცვლელების აღზრდაზე კი არავის უფიქრია და, რაც ყველაზე დამაფიქრებელია, დღესაც არავინ ზრუნავს. ძალიან ცუდად მუშაობენ ჩვენი მწვრთნელები ახალგაზრდებთან. მაგალითისთვის ერთ ასეთ ფაქტს მოვიყვან: წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის ფალავნებმა მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს (კახი სხირტლაძე — 65 კგ, ვალერი გოგიბერდაშვილი — 75 კგ.). როგორც ხედავთ, შორს არც ისინი წასულან. წლების განმავლობაში ძლიერი მოჭიდავეები არ აღუზრდიათ ქუთაისში, ცხინვალში, ბათუმში, თელავში... ორჯონიკიძის რაიონში მომუშავე მწვრთნელმა ანზორ მაღრაძემ კი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ახალგაზრდებს შორის საბჭოთა კავშირის რამდენიმე პრიზორი აღზარდა. ერთმა მისმა მოწაფემ — ნოდარ ებანოიძემ 1976 წელს ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა! ასეა როცა გული გულობს.

რა თქმა უნდა, მინსკში ცოტა ეკეთ გამოვიდოდით, შეჯიბრებაში მონაწილეობა რომ მიეღოთ ლევან თედიაშვილს, ნოდარ მოდებაძეს, რომან მარსაგიშვილსა და შეკრებაზე მყოფ ახალგაზრდა მოჭიდაველებს, რაკი ლევანი ვახსენეთ, აქვე უნდა დავძინო, რომ საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ეიური შახმურადოვმა ჩვენი რესპუბლიკიდან მხოლოდ ის მიიწვია ნაკრებში. ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა მექანიკის საგზური ილია მატესთან, ასლანბეგ ბიაურტანოვთან და ივანე ბარიგინთან ჭიდილში უნდა მოიპოვოს.

კიდევ რამდენიმე სპეციალისტის აზრი მინსკში საქართველოს მოჭიდავეთა გამოსვლის შესახებ:

არამ იალტრიანი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სსრ კავშირის 14-გზის ჩემპიონი:

— ძველად საკავშირო პირველობებში ყურადღების ცენტრში, როგორც წესი, საქართველოს ფალავნები იყვნენ. სწორედ ისინი იყვნენ ყველა სიახლის კანონმდებლები. ბევრჯერ მინახავს საპატიო კვარცხლბეკზე საქართველოს სამი წარმომადგენელი ერთად. ძალზე მწყინს თქვენი ბიჭების წარუმატებლობა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საქართველოში ჭიდაობის ასაღორძინებლად. ეს მარტო თქვენი საზრუნავი როდია. მისთვის ძველი დიდების დაბრუნება მთელი ჩვენი ქვეყნის, თუ გებავთ, მთელი საჭიდაო სამყაროსთვის არის საჭირო.., გამოცდილ მწვრთნელებთან ერთად ახალგაზრდების აღზრდა წარსულში ცნობილ ფალავნებსაც უნდა დაავალოთ.

ალექსანდრე მედვედი — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი:

— გული მტკივა, დარაბაზში რომ აღარ გაისმის გულშემატკივართა შეძახილები: „მიდი! მარჯვედ დაუდექ“... პირადად მე, დიდი სპორტიდან რომ წავედი, ჩემს მემკვიდრედ ნოდარ მოდებაძე გამოვიცხადე. მან კი ამედები გამიცრუა.

იური შახმურადოვი — სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი:

— ხუ მიწყენდა, და, ჩემი აზრით, თქვენი მწვრთნელების მრავალრიცხოვან არმიაში თითო-ოროლა თუ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს... ჩამორჩენის მიზეზად მხოლოდ მათს არადამაკმაყოფილებელ მუშაობას მივიხედვინ დამარწმენებს, რომ საღარაძის, ბერიაშვილის, ბალავაძის, თედიაშვილის, ლომაძის ქვეყანაში ტალანტები ალარ არიან. კიდევ ერთიც: ჩემი მოკრძალებული რჩევაა, მომავალი ჩემპიონები თბილისზე მეტად სოფლად, ზურნის ხმაზე ერთმანეთს დაჭიდებულ ბიჭებში ეძიოთ...

ჩვენ ამის იმედი გვაქვს.

რ. მაჰავარიანი.
(„კომუნისტის“ სპეც. კორ.).
მინსკი-თბილისი.



სპეციალოგები.

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე: აგრონომია (ქართული და რუსული სექტორები), დეკორაციული მებაღეობა (ქართული სექტორი), აგრომელიორაცია (ქართული სექტორი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები).

3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ა) სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე (აგრონომია, დეკორაციული მებაღეობა, აგრომელიორაცია) — ბიოლოგიაში (ზეპირი*), ფიზიკაში (წერა), ქიმიაში (ზეპირი). ბ) სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — ქიმიაში (ზეპირი*), ფიზიკაში (წერა), მათემატიკაში (ზეპირი), გ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (წერა*, ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი).

ყველა შემსვლელი აბარებს წერით გამოცდას თხზულების სახით. ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

იმ პირებს, რომელთაც რუსული ენა საშუალო სასწავლებელში ისწავლეს ეროვნული სკოლის პროგრამის მოცულობით, ანდა ის ენა, რომელზეც უმაღლესში წარმოებს სწავლება, ისწავლეს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საგანი, შეუძლიათ თხზულების მაგივრად წერონ კარნახი ან შინაარსი.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლადამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთერთ საგანში, რომელიც ტექსტში ღონშნულია ვარსკვლავით. გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას ისინი თავისუფლდებიან მისაღებ გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის“ ან „სამის“ მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით.

განცხადება მიღებიან შეხსნის შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე. განცხადებას ერთვის: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), 2. დახასიათება ადგილზე სასწავლებელში შესაბამისად, 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის), დამოწმებული სამსახურის ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოთ, ზომა 3X4 სმ).

ინსტიტუტში შემსვლელი პირადად წარადგენს: პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თავდაცვის სამხედროვალდებული) ან მოწმობას (ასაკოვანი პირი).

შემსვლელნი უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან წარმოადგენენ დახასიათებას, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები. იმ პირებს, რომელთაც არ აქვს პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი, შეუძლიათ წარადგინონ დახასიათება, გაცემული იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელთა მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის აუცილებელი არ არის წარადგინონ დახასიათება სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან.

ის პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლებაზე მივლინებულნი, განცხადების შეტანისას წერის მოწმობას (ასაკოვანი პირი).

ინსტიტუტი ინარჩუნებს ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, დამოწმებულს წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერით, ან ინსტიტუტის ადგილზე ადგილობრივ ადამიანთა ... ამონაწერის დამოწმებულ ... ბის მომავალი წლებში უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა, რომელთაც უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის ორანაკლებ 6 თვის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ.

ამათგან, ვინც წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები კონკურსით პირველ რიგში ჩაირიცხებიან.

— წარმოებიან მოწინავენი, ინტერნაციონალისტური ... ...